ხაშურის მოამბე

№47 (468) 2 დეკემბერი, ორშაბათი, 2024 წელი

მიზანი მიღწეულია, მიზანი იგივეა...

„ივერია“ რეგიონლიგის ჩემპიონია

(იხ. VI გვ.)

საინფორმაციო შეხვედრა ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობასთან დაკავშირებით

სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ელექტროენერგიის გადაცემის უსაფრთხო, საიმედო, ეფექტიანი და ხელმისაწვდომი სისტემის განვითარება-შენარჩუნების მიზნით, ქვეყნის მასშტაბით, ახორციელებს ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობის პროექტებს.

მათ შორისაა 220 კვ ე.გ.ხ „სურამი“ რეკონსტრუქციის პროექტი.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის, სამინისტროსა და საერთაშორისო, დონორი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა, დაბა სურამში, ადგილობრივი თემების მცხოვრებლებთან, საინფორმაციო შეხვედრა გამართეს.

შეხვედრაზე განიხილეს გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასების პროცესი, რათა მინიმუმამდე შემცირდეს გავლენა ადგილობრივ მოსახლეობასა და გარემოზე.

მოსული უხვი ნალექის გამო, ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში, თოვლისგან წმენდის სამუშაოები მიმდინარეობს, ქალაქში იწმინდება სანიაღვრე არხები

„გარკვეულ ადმინისტრაციულ ერთეულებში, საჭირო გახდა, გაწმენდითი სამუშაოების ჩატარება, განსაკუთრებით, ცოცხნარისა და წაღვლის მიმართულებით, ამიტომ

მობილიზებულია შესაბამისი ტექნიკა. პროცესები საჭიროებისამებრ გაგრძელდება, რაც შეუფერხებელ გადაადგილებას უზრუნველყოფს.

გარდა ამისა, ხაშურში,იმერეთის ქუჩაზე, სანიაღვრე არხების გაწმენდა მიმდინარეობს. არხების გადავსება, უხვმა ნალექმა გამოიწვია. იცით, რომ ხაშურში ხორციელდება წყლის და წყალარინების რეაბილიტაციის სამუშაოები, რის შემდეგაც მოწესრიგდება საგზაო ინფრასტრუქტურა. იმერეთის ქუჩის პროექტირება უკვე გაკეთებულია და წყლის პროექტის განხორციელების შემდეგ, მოეწყობა საგზაო ინფრასტრუქტურა და სანიაღვრე არხები. უხვი ნალექის გამო, პრობლემები შეექმნა რამდენიმე მოსახლესაც, მათთან პირადად ვიყავი და განხორციელდება გუბეების ამოტუმბვა. ვცდილობთ, ყველა პრობლემაზე მყისიერი რეაგირება გვქონდეს.“ აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა-თენგიზ ჩიტიაშვილმა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში, „ხაშური საქართველოს გულია” კონკურსის მონაწილეები დააჯილდოვეს

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა-თენგიზ ჩიტიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარე-ნინო ლიპარტელიანმა, მერის მოადგილე-ზვიად გოგუაძემ, განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის წარმომადგენლებმა წამახალისებელი დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვეს ნორჩი მხატვრები: ანი ქურდაძე,

თათია ქურდაძე, ლუკა ნოზაძე, სოფიო თუმანიშვილი, ბარბარე ტეფნაძე, მარიამ ჯამბაზიშვილი.

კონკურსის მიზანს წარმოადგენდა: ხელოვნების სფეროში უნარ-ჩვევების გაძლიერება, შემოქმედებითი აქტივობის მხარდაჭერა, ხელოვნებით დაინტერესებული ადამიანური რესურსის წარმოჩენა.

კონკურსში მონაწილეობდნენ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მე-6 მე-12 კლასის მოსწავლეები.

კონკურსის ორგანიზატორები იყვნენ, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო.

- ქველმოქმედება -

სიკეთე გადამდებია

„ძნელი სათქმელია, ვინ იყო ის პირველი ადამიანი, რომელიც მეორეს უანგაროდ დაეხმარა, მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ცივილიზაციის ისტორია ამ დღიდან იწყება....“ - არ ვიცი, სად ამოვიკითხე. ის კი ვიცი, რომ არის სიმართლე ამ ნათქვამში. რომ არა გაჭირვებულებისადმი, გარკვეული საქმისათვის და სხვათათვის უანგაროდ რაიმეს გაღება, მატერიალური თუ სხვა სახის დახმარების გაწევა, სამყაროში ყოფიერება გაცილებით რთული და ნაცრისფერი იქნებოდა.

რამდენიმე ხნის უკან, ქალაქი და არა მარტო, თითქმის მთელი საქართველო, დახმარების სურვილით ხაშურელი დების, ორი ლამაზი, ცქრიალა, სიფრიფანა გოგონას ვტოკატასტროფაში მოხვედრამ გააერთიანა. მათ გადასარჩენად ცალკე ექიმები და ოჯახი იბრძოდა და ცალკე - მოქალაქეები, ნაცნობ-მეგობრები შემოწირულობებით. გოგონების სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება, მაგრამ ხანგრძლივი და ძვირადღირებული რეაბილიტაცია კი საჭიროა შემდგომ ეტაპზე. ჰოდა, რატომ გიყვებით ახლა თათულისა და ნიას ისტორიას, ისედაც ყველასთვის ცნობილია... სიკეთე ხომ გადამდებია, ყოველ შემთხვევაში, დიდი სურვილი გვაქვს, ასე რომ იყოს, და ამ დღეებში, სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ხაშურის #9 საჯარო სკოლაში, ძალიან საინტერესო საქველ-მოქმედო აქცია დაიგეგმა სკოლის ინიციატივითა და ამავე სკოლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პედაგოგის ხათუნა ჩიტაძის ორგანიზებით და ძალისხმევით. ქალბ-ატონი ხათუნას სახელი არაერთ საქველმოქმედო აქციას უკავშირდება. ამჯერად კი მის მიერ ორგანიზებული ღონის-ძიება ერთგვარი ინიცია-ტივა და გამოწვევაცაა.

სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ხაშურის #9 საჯარო სკოლის დირექტორი მამუკა ხაჩიძე:

- სკოლაში იმთავითვე გაჩნდა სურვილი, რაიმე სახით, ბავშვებს დავხმარებოიდით. ძალიან კარგი ინიციატივა შემომთავაზა ხათუნა ჩიტაძემ, სახვითი და გამოყენებითი ხელოვ-ნების პედაგოგმა, რომ სკოლაში მოგვეწყო გამოფენა-გაყიდვა. ეს ინიციატივა მიზნობრ-ივად გავშალეთ, ინსტიტუციურად რესურსცენტრთან გავიარეთ და შევჯერდით საქველმოქმედო ღონისძიების დეტალებზე. ღონისძიებას ორგანიზებას უწევდა ხათუნა ჩიტაძე. გამოი-ფინა მისი ნამუშევრები. ნამუშევრები წარმოადგინეს მოსწავლეებმაც. მოსწავლეებს და პედაგოგებს თანხასთან შეხება არ ჰქონიათ. უანგაროთ დაგვეხმარა მშობელი თანხის შეგროვებაში. რაც შეეხება სასაწავლო პროცესს, ჩვენ შეგვეძლო ეს გაგვეტანა სკოლის გარეთ, მაგრამ რატომ სკოლის გარეთ? აქ, ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ აქციას სააღმზრდელო დატვირთვა მივანიჭეთ. ბავშვებს გაუჩნდათ ემპათია, მზრუნველობითი უნარები თანატოლების, თანაქალაქელების, უბრალოდ ადამიანების მიმართ, წვლილი შეეტანათ მათ დახმარებაში, ვისაც როგორ შეეძლო. მოსწავლეებმა საკუთარი ნამუშევრები გამოიტანეს გასაყიდად, ბევრმა მათგანმა ბუფეტისთვის განკუთვნილი თანხა დაზოგა, გადაინახა და ქველმოქმედებას შეეწირა.

ვფიქრობ, ეს ყველაფერი მოსწავლეებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია თანამედროვე 21-ე საუკუნეში და ზოგადად, კაცობრიობისათვის, როდესაც ადამიანს უჩნდება ემპათია, უჩნდება დახმარების სურვილი, უჩნდება კეთილი - წრფელი დამოკიდებულება მოყვასისადმი.

და კიდევ ერთიც, ყველაზე მნიშვნელოვანი - ბავშვების შემოქმედებითი უნარები ხშირ

შემთხვევაში, რაღაცნაირად, საზოგადოებისათვის დაფარული არის ხოლმე და ბავშვებმა, ამ კეთილი საქმისათვის გამოიტანეს საკუთარი ნამუშევრები და საზოგადოებამ გაიცნო

მათი შემოქმედებითი უნარები. ასე, რომ აქციის ფარგლებში მოსწავლეთა უნარების საჯაროობა და პოპულარიზაციაც მოხდა.

ძალიან კარგ საქმეს მოვახმარეთ ჩვენი რესურსი, საქმეს, რომელიც ჩვენი მოსწავლეების ჯანმრთელობას ეხება და საქმეს, რომელიც აღმზრდელობით მიდგომებს უკავშირდება. ერთგვარი ინტეგრირებული აქტივობა იყო სასკოლო ცხოვრებაში.

სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ხაშურის #9 საჯარო სკოლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პედაგოგი ხათუნა ჩიტაძე:

- აქციაში ჩაერთო სრულიად სასკოლო საზოგადოება: მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები, სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე მოსახლე თემი. მოდიოდნენ და ვისაც როგორ შეეძლო, გვეხმარებოდნენ. გამოვიტანეთ ნახატები, ნაქარგები, ნაქსოვები, ხელით შექმნილი ნივთები, მოსწავლეების და მასწავლებლების მიერ მომზადებული ტკბილეული. საკმაოდ დიდი იყო აქტივობა,მიუხედავად ამინდისა, თითქმის ყველა ნივთი გაიყიდა. შემოსული თანხა სრულად ჩაირიცხა ბავშვების დასახმარებლად.

თეონა ტალახაძე - სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ხაშურის #9 საჯარო სკოლის მოსწავლე:

როდესაც ხათუნა მასწავლებელმა სკოლაში განაცხადა მეხუთე სკოლის მოსწავლეების ურთულეს მდგომარეობაზე და გვთხოვა, ვისაც შეგვეძლო, ჩვენი ხელნაკეთი ნივთები გამოგვეტანა გამოფენა-გაყიდვაზე, სიამოვნებით მივიღეთ მისი შემოთავაზება და ინიციატივა. რა უნდა იყოს იმაზე დიდი ბედნიერება, როდესაც საკუთარი ხელით შექმნილ ნამუშევრებს ყიდი თანატოლების დასახმარებლად. სკოლიდან საკმაოდ ბევრი მოსწავლე ვიყავით ჩვენი ნამუშევრებით წარმოდგენილები. მადლობა სკოლას და მასწავლებელს სიკეთის კეთების შესაძლებლობისათვის.

პირიმზე ნატროშვილი - მშობელი:

- როდესაც ქალბატონი ხათუნა მეხმიანება, ყოველთვის მაქვს გამოფენა-გაყიდვაში მონაწილეობის მიღების მზაობა. იმედი მაქვს, ჩვენი დღევანდელი საქველმოქმედო აქცია წაადგებათ მოსწავლეებს თათულისა და ნიაკოს. ღმერთმა მალე გამოაჯანმრთელოს ბავშვები.

სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ხაშურის #9 საჯარო სკოლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პედაგოგი ხათუნა ჩიტაძე:

- გვინდა სიკეთე იყოს გადამდები. სკოლებმა გაიზიარონ ინიციატივა და ერთად დავეხმაროთ მეხუთე სკოლის მოსწავლეებს. მეგობრული თხოვნა და სურვილი მაქვს ჩემმა კოლეგებმა ხაშურის მუნიციპალიტეტში განახორციელონ მსგავსი აქტივობები, ბავშვებმა ისწავლონ თანადგომა, თანაგანცდა, მხარდაჭერა და საკუთარი ხელით შექმნილი ნივთების გამეტება სხვისი კეთილდღეობისათვის. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მომავალი თაობა იზრდებოდეს იმ იდეებით და თვალთახედვით, რასაც ქვია დახმარება, გვერდში დგომა და უანგარო სიყვარული. დღეს, მოსწავლეები იყვნენ ბედნიერნი, რომ მათ მიერ შექმნილი ნამუშევრების გაყიდვით შეეძლოთ დახმარება გაეწიათ თანატოლებისათვის, გოგონებისთვის. ეს ბავშვები აუცილებლად კარგი მოქალაქეები გაიზრდებიან.

სიკეთე გადამდებია!

თ. ახალკაცი

ტოპონიმებში გაცოცხლებული ისტორიები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2023წ.#42, #43 2024წ.#2,#3, #4,5,6,7,8,9,10,11,12,15,15,17,18. #36,37,38,39,40,41,42,46)

ჩიქოლასმიწა - ადგ., სათესი. იგივეა რაც ჯონჯლები და ბლების მიწა.
ძველათხევი - ხევი აღმოსავლეთის მხარეს. ,,ადრე ძეგვის ხე იზრდებოდა, ალბათ წყლები იცოდა ბევრი”.

წითელი სამანი//წითელსამანი - ადგ., მინდორი სამხრეთის მხარეს. ,,აქ სამანი იყო ჩადებული, ახლაც არის. ვისი იყო არ ვიცით ალბათ მებატონეებისა იყო”. ,,ძველი ქვა წითელი ფერიას სასაზღვროდ”.

წმინდა გიორგი - ადგ., სალოცავი.

ჭანგიანები - ადგ., სათესი პატარა ფლევში.

ხარაზიშვილების წყარო - წყარო.

ჯელაძეები - უბანი.

ჯონჯლები - ადგილი, ნასოფლარი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს. ,,ადრე ჯონჯოლი ყოფილა, ახლა აღარ არის”.

ქვიშხეთის სათემო საკრებულო

სოფელი ბ ე ღ ლ ე თ ი

ბეღლეთულა - მდინარე, უერთდება შოლას ქვიშხეთთან.

ალექსანდრეს კაკლები - ადგ., სახნავი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს. ,,ალექსანდრე ქალიაშვილი იყო”.

ბაგრატას მიწები - ადგ., სახნავი დასავლეთის მხარეს.

ბლუაშვილი მიწა - ადგ., სახნავი აღმოსავლეთის მხარეს.

განი გზა - ადგ., გზა ჩრდილოეთის მხარეს პატარა ბეღლეთში. ,,მთას შუაზე ჭრის”.

გიგოს ახო - ადგ., ტყე ჩრდილოეთის მხარეს. ,,ადრე სახნავი იყო, გიგო ქალიაშვილს ეკუთვნოდა”.

გუგბერიძეს მიწები - ადგ., სახნავი ჩრდილოეთის მხარეს. ,,გუგბერიძეებს ეკუთვნოდა”.
ხნავი იყო, ახლა ფიჭვნარია გაშენებული”.
დიდმიწები - ადგ., სახნავი აღმოსავლეთის მხარეს.
დიდღელე - ადგ., ღელე აღმოსავლეთის მხარეს.

თედოს კაკალი - ადგ., სახნავი აღმოსავლეთის მხარეს.

თედოს მიწები - ადგ., საძოვარი აღმოსავლეთის მხარეს. ,,თედო გელაშვილს ეკუთვნოდა”.

თხილნარი - ადგ., ტყე ჩრდილოეთის მხარეს პატარა ბეღლეთში, “ბევრი თხილი არის”.

კალოები - ადგ., აღმოსავლეთის მხარეს.

კატლავანი - ადგ., ღელე პატარა ბეღლეთში დასავლეთის მხარეს. ,,წყლები იწურება, ბეტონის ღარებია გაკეთებული გვირბის ზემოთ”.

მშრალი ღელე - ადგ., ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს. ,,ახლა ღელე აღარ არის, დამშრალია”.

ნასახლარი - ადგ., პატარა ბეღლითში აღმოსავლეთის მხარეს. ,,ადრე ჩვენი წინაპრები იქ ცხოვრობდნენ”.

ნაჩეხი - ადგ., საძოვარი, ტყე პატარა ბეღლეთში დასავლეთის მხარეს. ,,ტყე იყო და გაიჩეხა, ეხლა ახალი ამონაყრებია”.
ნიკალას ნასიმინდარი - ადგ., სახნავი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს. ,,ნიკალა გელაშვილს ეკუთვნოდა”.

პონტიკი - ადგ., წყრო აღმოსავლეთის მხარეს. ,,ძალიან ცივი წყალია”.
საფუტკრე - ადგ., მინდორი, საძოვარი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს. ,,ძველად იყო ტყე, რომელიც გაიჩეხა. შემდეგ იყო ჩირგვნარი, ახლა გაჩნდა პატარა ტყე”.

საჯვარე - ადგ., სალოცავი, წიფლნარი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. ,,აქ ეკლესიის ნანგრევებია, მის გარშემო წიფლნარი და მცირე მუხნარია, წმინდა სამებას ეძახიან(?)”.

სერი - ადგ., სერი სამხრეთის მხარეს. ,,აქედან იწყება ბეღლეთი”.

სიმონას ვაკე - ადგ., სახნავი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს. ,,სიმონა გელაშვილი იყო”.
ტატოს ახო - ადგ., ტყე ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს. ,,ადრე სახნავი იყო. ეხლა ნაძვნარია. ტატო ქალიაშვილი იყო”.
ფონის სერი - ადგ., სერი, სათიბი ჩრდილოეთის მხარეს. ,,ეს სერი სოფელ ფონასა და ბეღლეთს ჰყოფს”.

ფურღუნალი - ადგ., ტყე ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს.

შარღელე - ადგ., ღელე პატარა ბეღლეთში აღმოსავლეთის მხარეს. ,,ადრე ვითომ ჭინკები დახვედროდენ და შეეშინებიათ ვიღაცას”.

შაქროს ვაკე - ადგ., ნამოსახლარი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს. ,,ეხლ კაკლის ხეებია დარგული. შაქრო გელაშვილს ეკუთნოდა”.

წინწკლა - ადგ., ღელე, წყარო დასავლეთის მხარეს პატარა ბეღლეთში. ,,ეს ღელე ბეღლეთსა და მონასტერს შუა ჩამოდის”.

სოფელი ბ უ ლ ბ უ ლ ი ს ც ი ხ ე

ახალშენი - ადგ., უბანი დასავლეთის მხარეს. აქ დასახლდნენ ტბიდან, წიქარიშვილებისა და გოგალაძეების უბნიდან მოსახლეობა.

აბანოღელე - ადგ., ღელე სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. პატარა ღელეა, აბანო იყო, ახლაც არის.

ბადრიჯანა - ადგ., ტყე.

ბლიაძეების უბანი - უბანი.

ბოგირები - ადგ., მინდორი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,აქ ბოგირი იყო ღელეზე“.

ბოგირღელე - ადგ., სათესი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს.

გამოღმა უბანი - უბანი.

გაღმა უბანი - უბანი.

გელაშვილების უბანი - ადგ., უბანი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს ერთი გვარი გელაშვილი და სხილაძეც ცხოვრობდა.
გიოს წყარო - ადგ., წყარო ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. ,,გიო გრიგალაშვილი იყო, 120 წლისა მოკვდა.“

გოგალაძეების გზა - ადგ., გზა დასავლეთის მხარეს. გაივლის ცივწყაროებს, ადის საჯვარეზე და ჩავდივართ ნუნისში.

გოგალაძეების ტყე - ადგ., ტყე.

გორას ახო - ადგ., მინდორი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,გორა ბლუაშვილი იყო“.

გრიგალაშვილების უბანი - ადგ., უბანი.

დიდი საბუდარა - ადგ., მინდორი, ტყე სამხრეთის მხარეს.

დიდვაკე - ადგ., საძოვარი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს.

დიდი ცივწყარო - ადგ., საძოვარი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს.

დიდი რცხილნარი - ადგ., ტყე სამხრეთის მხარეს.

ვანოს ცივწყარო - ადგ., მინდორი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,ვანო წიქარიშვილის კაცი იყო.“

ვასიკო გელაშვილის ნავენახარი - ადგ., სამხრეთ-დასავლეთის მხარეს.

ზვარი/ს/სერი - ადგ., სერი, საძოვარი დასავლეთის მხარეს. გამყოფი ბულბულისციხისა და ზვარისა.
ილიკოს დიდახო - ადგ., ტყე დასავლეთის მხარეს.
იონჯა - ადგ., მინდორი დასავლეთის მხარეს.
იონჯების წყალი - ადგ., ღელე დასავლეთის მხარეს.
თავისსაბნები - ადგ., საძოვარი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,მიწით თავს იბანდნენ“.

კეცი/ს/მიწები - ადგ., მინდორი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. ,,აქ აყალო მიწის საბადოებია, კეცებს ამზადებდნენ ადრე“.

კვირიას ტბა - ადგ., ტბა, მინდორი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. ,,პატარა ტბა დგება ხოლმე გაზაფხულსა და შემოდგომაზე“.
კიკნაძეები//კიკნაძეების უბანი - ადგ., უბანი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს.

კიკნაძეების მიწეი - ადგ., სახნავი, სათესი დასავლეთის მხარეს.
კიკნაძეების ტყე - ადგ., ტყე ჩრდილო-დასავლეთის მხარეს.
კლდის ძირი - ადგ., ტყე.

კოლას ახო - ადგ., მინდორი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,კოლა გოგალაძე იყო“.
კორდები - ადგ., მინდორი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს.
კოსტიას ახო - ადგ., ტყე სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,ფიჭვნარია გაშენებული. კოსტია სამხრაძე იყო“.

კოტიას ახო - ადგ., საძოვარი დასავლეთის მხარეს.
კოწიას ახო - ადგ., ტყე სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,ფიჭვნარია გაშენებული“.
ლამების ღელე - ადგ., ღელე.

ნაბაკვარი - ადგ., საძოვარი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს.

ნათლი ღელის წყალი - ადგ., წყარო, ღელე. უერთდება მდ. შოლას.

ნაკოშკარი - ადგ., კოშკის ნანგრევები დასავლეთის მხარეს. ,,ვალიკო გელაშვილის ნავენახარის გასწვრივ მდებარე სერზე, ბულბულისციხის მოპირდაპირე მხარეს არის“.

ორთოიძის ახო - ადგ., სათესი.
ორჯამიანას ღელე - ადგ., ღელე დასავლეთის მხარეს. ერთვის მდ. შოლას.

ორჯამიანას წყარო - ადგ., წყარო დასავლეთის მხარეს. ,,ორჯამიანას ღელის სიღრმეშია, წყაროსთვის კლდეში ამოკვეთილია ერთი ჯამი, მეორე მის დაბლაა. აქედან ორი ჯამით წყალი მიჰქონდა ბულბულას მეცხოვნეთა დასაწრმუნებლად“.

პატარა საბუდარა - ადგ., მინდორი ტყე სამხრეთის მხარეს.
პატარა რცხილნარი - ადგ., ტყე სამხრეთის მხარეს.
სალხინო - ადგილი.

სამონასტრო ღელე - ადგ., ღელე აღმოსავლეთის მხარეს.

სანახშირე - ადგ., ტყე აქ ნახშირს წვავდნენ.

საღუები - ადგ., მინდორი, ტყე ჩრდილო-დასავლეთის მხარეს.

საღუების წყალი - ადგ., ღელე ჩრდილო-დასვლეთის მხარეს.

საჭიდაო - ადგ., მინდორი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს.

საჭილეები - ადგ., მინდორი, საძოვარი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს.
საჯვარე - ადგ., სათიბი, მინდორი დასავლეთის მხარეს. ,,საზღვარი ნუნისსა და ბულბულისციხეს შორის. აქ დიდი ქვები, გათლილი ქვებიც არის. გადმოცემით ეს ეკლესიის ნანგრევებია“.

სერი მიწები - ადგ., მინდორი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს.

სვნის თავი - ადგ., მინდორი, ტყე სამხრეთ-დასავლეთის მხარეს.

სვნის ძირი - ადგ., მინდორი სამხრეთის მხარეს.

სიკოს სათივე - ადგ., სახნავი, საძოვარი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. სიკო კიკნაძე იყო.

ტაუსის წმინდა გიორგი - ადგ., სალოცავი, ეკლესიის ნანგრევები.

ტბა - ადგ; ნასოფლარი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს.

ტბის სერი - ადგ., სერი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს.
ტბის ღელე - ადგ., ღელე, უერთდება შოლას.
ტბის წყარო - ადგ., წყარო.
უნაგირა - ადგ., მთა.

ფურღნალი - ადგ., საძოვარი.

ფშნები - ადგ., სათესი.

ქვარნალი - ადგ., საძოვარი სამხრეთის მხარეს. ,,ქვიანი ადგილია, სულ ქვა ყრია“.

ღარიბაღელე - ადგ., ღელე.

ყვითელი ტბა - ადგ., ტბა სამხრეთის მხარეს. პატარა ტბაა.

ყვირიატბა - ადგ., ტბა. გაზაფხულზე რომ ხმაურობს, ყვირის.

ყორანიუდე - ადგ., საძოვარი, ტყე სამხრეთის მხარეს.

ყორნალი - ადგილი.

შოლა - მდინარე, საბუდარას ტბის, ქვარნალის, სვანის ძირიდან, ძველახოდან, ორჯამიანას წყლები ერთმანეთს უერთდებიან გოგალაძეების უბნებთან და აქედან იწყება შოლა.

ცივწყარო - ადგ., წყარო დასავლეთის მხარეს.
ცივწყაროს ღელე - ადგ., ღელე დასავლეთის მხარეს. გამოედინება ცივწყაროდან, ორჯამიანა უერთდება წიქარიშვილების ბოლოს.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

მურად მთვარელიძის ახალი ლექსები პოეზიის მონაპოვარია

„შუაღამის მზის მოლოდინში“ არამარტო ავტორის, არამედ ლიტერატურის გამარჯვებაა.

ეს ფორმულები ლიტერატურის გამორჩეულმა და სანდო ექსპერტმა, როსტომ ჩხეიძემ ჩამოაყალიბა ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სხდომათა დარბაზში, სადაც, 14 ნოემბერს, მურად მთვარელიძის ახალი პოეტური კრებულის - „შუაღამის მზის მოლოდინში“ - წარდგინება გაიმართა.

შეხვედრას ბოლომდე ბატონი როსტომი წარუძღვა. თავის საგულისხმო ექსკურსშიც და მერეც, მთელი საღამოს განმავლობაში, არაერთხელ გამოხატა წიგნით აღფრთოვანება და აღტაცება. ეს არის განსაკუთრებული მოვლენა არამარტო მწერლის, არამედ ლიტერატურის ცხოვრებაში. კრებული უკვე მარტო ავტორისა აღარ არის, ეს საერთო საკუთრებაა, - თქვა და განაგრძო:

იყო დრო, როცა ლექსი უკავშირდებოდა ახალგაზრდობას, სიჭაბუკეს. ახლა ასე აღარაა. აი, მოხდა ცვლილება გამოცდილი პოეტის ცხოვრებაში, იგი ახალ განზომილებაში გადავიდა, ეს სრული სიახლეა მის შემოქმედებაში.

მამუკა წიკლაურის საფლავების ციკლის ლექსები ქართული სფუნ რივერის ანთოლოგიაა; ანა კალანდაძის რელიგიური ციკლის გამო, თავის დროზე, ლანძღავდნენ ავტორს, ლოცვებს ჰგავსო; გენო კალანდიას ფსალმუნური ციკლი განსაკუთრებული მოვლენა იყო. მურადმაც ასეთი განსაკუთრებული რამე ჩაიდინა, ეს პატარა წიგნი არის უჩვეულო მოვლენა. ეს არის რელიგიური თემატიკისა და შინაარსის ლექსები.

რელიგიური თემა კარგა ხანია, რაც ძალიან პოპულარული გახდა, მეტნაკლებად ერკვევიან, ბიბლიურ სიმბოლიკას იყენებენ, ზოგჯერ - კარგადაც, მაგრამ შინაგანად რომ გაქვს განცდილი, ეს სულ სხვაა. ეს ახალი კრებული არის თანამედროვე ჰიმნოგრაფის დაწერილი, რომელმაც რელიგიაც იცის, პოეზიაც იცის, ისეთი რაღაცები აქვს მიგნებული, რომ ჰკითხო, ბევრ რამეს თვითონაც ვერ ახსნის. სტრიქონი არ არის ჩავარდნილი, ისეთი ფილიგრანული, ისეთი დახვეწილია, რომ მართლაც, ზეციური კარნახით დაწერილს ჰგავს.

ეს წიგნი, რომელიც სამი ციკლისგან შედგება, რომელსაც შეიძლება პოემაც დავარქვათ, ეპოპეაც დავარქვათ, ორიგინალურია იმითაც, რომ სამი წერილი დაერთვის - შეფასებულია თითოეული ნაწილი, რაც უჩვეულო მოვლენაა. სამივე წერილი ავტორის ფიქრის გაგრძელებაა - ანალიტიკურიც, ემოციურიც. ისე შეიკრა ეს წიგნი, რომ მერე, ტომში რომ შეიტანს, რჩეულში რომ შეიტანს, იქაც შეიძლება ეს წერილები დატოვოს, როგორც წიგნის სრულფასოვანი ნაწილი.

მზიანი ღამე, შუაღამის მზე ბიბლიური სახეა, „ვეფხისტყაოსანშია“ გამოყენებული. თავის დროზე იყო მსჯელობა, იყო თუ არა ეს სტროფი რუსთველური, ამოეღოთ თუ დაეტოვებინათ პოემაში. სხვადასხვა აზრი არსებობდა. პავლე ინგოროყვას ნათქვამმა გადასწონა და გადაწყვიტა საკითხი. მან თქვა, რომ ეს ბიბლიური სახეა და იესო ქრისტეს მეტაფორა. მერე ეს სათაური ნოდარ დუმბაძემ გამოიყენა.

„შუაღამის მზის მოლოდინში“ ისეთი წიგნია, რომელზეც ადამიანი ვერ იტყვის, რომ წაიკითხა. აუცილებლად მიუბრუნდება კიდევ ერთხელ. ახლა ის დროა, როცა მთავრდება უღმერთო ეპოქა. ღმერთი ჩვენს თავში თუ არ ვეძიეთ, თუ არ დავიწყეთ აღდგენა პირვანდელი ქრისტიანობისა, რაც მერე შეიმღვრა და შეიბღალა, დაკარგული იქნება ღმერთი. ბუნებრივად თავსდება ეს კრებული ღვთის ძიების გზაზე.

ამიტომ წიგნის გამოცემა მიულოცა არა ავტორს, ეს უკვე მისი აღარ არისო, არამედ მიულოცა ქართველ საზოგადოებას, წიგნიერ საზოგადოებას, ქართულ ლიტერატურას.

ამ ემოციური, გულშიჩამწვდომი, მრავალმხრივი შეფასების შემდეგ, კიდევ ერთხელ გავიმეორე და ჩემდა თავადაც დავამატე, რომ წიგნი გამორჩეულია, ახალია თავისი არსით, არ არის ჩვეულებრივი, მორიგი პოეტური კრებული ავტორისა. ასეთი ლექს-ლოცვების შექმნას დიდი ფიქრი, საკუთარ თავთან ხანგრძლივი განმარტოება, ძლიერი სულიერი მომზადება სჭირდებოდა.

ენა სადაა, მიმზიდველი, ბიბლიური სურნელების ჩვენამდე მომტანი. ისეა დაწერილი, რომ სულიერ ძიებებში უთუოდ მკითხველსაც აიყოლიებს-მეთქი.

და გამოვთქვი ვარაუდი, რომ ამ ფიქრებსა და განცდებში ასე ღრმად შებიჯება არა მგონია, აქ დამთავრდეს, აუცილებლად უნდა მოჰყვეს გაგრძელება-მეთქი და, საბედნიეროდ, ჩემი მიხვედრა სულ მალე სრულად დაადასტურა ბატონმა მურადმა.

მზია ლობჟანიძემ, ხაშურის მუზეუმის ფონდების მთავარმა მცველმა რელიგიურ-მისტიკური მინი-პოემები უწოდა ლექსებს. მადლობა გადაუხადა ავტორსაც და შემფასებლებსაც, რომელთა წერილები, ლექსებთან ერთად, ერთ მთლიანობად მოიხსენია.

თქვა, რომ

ამ რელიგიური პოემების ცენტრი არის მზე, მზე, რომელიც ჩვენთვის, ქართველებისთვის, უძველესი ხანიდან, უმაღლესი და უზენაესი ღვთაება იყო. ლირიკული გმირი ჯერ კიდევ ძიებაშია. ეს გმირი არის ძალიან ძველი, მოდის ქალდეველებიდან, ყველა ადამიანური, მსოფლიო დიდი საქმეები გამოუვლია - ბაბილონის გოდოლის მშენებლობა, ყოფილა ნილოსის პირზე, ასევე მოსეს მიერ მოტანილ მცნებებს მიახლებია და ასე შემდეგ. თუმცა, ბოლომდე არ არის დაწმენდილი მისი მსოფლმხედველობა და არ არის გასული იმ ფონს, რომ შუაღამის მზის მოლოდინი მისთვის რეალობად იქცეს.

ეს არის აღსარებისა და მონანიების შემდეგ უფლისთვის შენდობის თხოვნა. თუ ეს შენდობა მოვა, შუაღამის მზის მოლოდინიც დასრულდება. ლირიკული გმირი სწორედ იქითკენ მიდის, რომ შუაღამის მზე მისთვის განათდეს ანუ უფალს მიეახლოს.

ისეთ ტანჯვასა და ტკივილშია გამოტარებული აღსარებისა და მონანიების ამბები, რომ ხანდახან მგონია, ბატონი მურადის დაწერილი არცაა. აშკარად ზემოდან ნაკარნახევს ჰგავსო. ავტორისთვის, ზოგადად,დამახასიათებელია ცხოვრების ხალისით ტკბობა, ბევრი სიკეთე, აქ კი არის ბევრი ტანჯვა.

თამარელა წოწორიამ ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების მორიგი თავყრილობაა ხაშურშიო, - თქვა. ჩვენს საზოგადოებაში ასე ხდება ხოლმე, რომ ყოველთვის ავტორი მოდის ჩვენთან. დღეს ისე გამოვიდა, რომ საზოგადოების რამდენიმე წევრი ჩამოვიდა ავტორთანო.

„ტკივილის სახარება“, „დაცემის ცხრა ნეტარება“და „აღსარების ათი მცნება“ საგალობლებად მოიხსენია და თანამედროვე ქართული პოეტური აზროვნების რელიგიური ნაკადის დამამშვენებლად მიიჩნია.

ისაუბრა საფუძვლიანად, ღრმად, საინტერესოდ. წაიკითხა ამონარიდები ლექსებიდან. შემოგვთავაზა საყურადღებო დაკვირვებანი. მისი გამოხმაურების, რომელსაც პოეტური სათაური შეურჩია - „ამ ნაყვავილარ დედამიწაზე“ - სრულად გაცნობის შესაძლებლობა მკითხველს ახლო ხანებში მიეცემა ლიტერატურული პერიოდიკის ფურცლებზე.

ბატონმა როსტომმა ახალი იდეა გაახმოვანა - ვამბობთ, ჰიმნი, საგალობელი... ეჭვი არ მეპარება, რომელიმე კომპოზიტორი გადაიტანს ნოტებზე და შექმნის ორატორიასო.

მაყვალა ხაჩიძემ, ბედნიერი ვარ, რომ მურადი ჩემი მეგობარია, ჩემს გვერდით ზის სამსახურშიო. მისი ნაწერების პირველი მსმენელი ვარ ხოლმე და როცა ეს ლექსები წამიკითხა, ვეხვეწებოდი, მითხარი, ვინ დაგაწერინა-მეთქი. მერე რამდენჯერმე წავიკითხე და არ ვიცოდი, რა უნდა მეთქვა, ძნელია უპასუხო, ელაპარაკო, ურთიერთობა გქონდეს, შენი აზრი გამოხატო ასეთი, არაამქვეყნიური გრძნობების მქონე ადამიანთანო.

კრებულის გამოსვლას გამოეხმაურა ნატა ვარადა, რომელიც შიგნიდან, წრფელად განიცდის რელიგიურ თემატიკას და არა მოდის აყოლის გამო. თანაც, როგორც ბატონმა როსტომმა ბრძანა, ნატა არის ადამიანი, პოეტი, რომელსაც არ უჭირს სხვა პოეტზე კარგის თქმა. მისმა წერილმა - ლოცვანი სამოთხის ალუზიებით - მსმენელთა დაინტერესება და დიდი მოწონება დაიმსახურა. სანამ სრულად გამოქვეყნდება, აქ მცირე ამონარიდებს გაგაცნობთ:

ადამიანმა არაერთხელ დაადასტურა, რომ მისი მთავარი მამოძრავებელი

ძალა სიცოცხლის სიყვარულია. სიყვარულის მთავარი და ყველაზე ლამაზი გამოხატულება კი ღვთის ძიებაა ადამიანის მიერ საკუთარ თავთან მოგზაურობისას. თანამედროვე ადამიანი, რომელსაც უამრავი დაბრკოლება ხვდება ღვთის საძებნელ გზაზე, სახარების ნაკვალევს მიჰყვება. იქნებ, კიდევაც მიუახლოვდეს მას და ღვთის უკიდეგანო სიყვარულს ეზიაროს. იმედი გვქონდეს.

მაინც განსაკუთრებულია, როცა ამას პოეტი მოიწადინებს, საკუთარ აღსარებას დაუნანებლად მკითხველის ხელისგაწვდენაზეც კი გამოიტანს, როგორც პირველი ქრისტიანი.

ძალიან ფაქიზად და ბუნებრივად არის შედგენილი, მოფიქრებული შინაარსი და ფორმა წიგნისა „შუაღამის მზის მოლოდინში“. სამი კარედი, სამი ნაწილი, სამი ბიბლიური საყრდენი ალუზიის ახლებური გადააზრება და ლოცვანი, რომლებიც იერემიას გოდებასავით გაისმის უდაბნოდ გადაქცეულ, უღმერთობაში ჩარჩენილი ადამიანების ყოველდღიურობაში.

სამივე ნაწილს თავისი შემფასებელი ჰყავს. წერილების ავტორები ცდილობენ, ამ წიგნის მოგვებად მოგვევლინონ - ისინი ხელდამშვენებულები მიჰყვებიან ვარსკვლავისკენ მიმავალ გზას.

და არ შეიძლება არ დაეთანხმო ავტორსა და სამ მოგვს სამოთხის ამ ალუზიურ წიგნში მოგზაურობისას: ქრისტეს ხილვა, შუაღამის მზის დადგომა მხოლოდდამხოლოდ საკუთარი სისხლის იორდანეშია შესაძლებელი...

იამზე შავიძე ბატონი მურადის ნამოწაფარია, ამჟამად შესანიშნავი პედაგოგი. მან ჯერ თავის მასწავლებელს და ქართულ საზოგადოებას მიულოცა წიგნის დაბადება. მერე კი ძალიან ოსტატურად, პროფესიულად გაარჩია კრებული. ყოველი ლიტერატურული ნაწარმოები ერთგვარი მხატვრული ალგორითმია და მისი ამოხსნა რთულიაო, - თქვა. თუმცა პოეტის მიზანდასახულებაც შესანიშნავად გახსნა, სახარებისეულ ალუზიებზე, ფუნდამენტურ ქრისტიანულ კონცეფციეფზე დიდი ცოდნით ილაპარაკა და ყურადღება მიაქცია ენასაც. აღნიშნა, რომ კრებულში ერთმანეთს ენაცვლება კონვენციური და არაკონვენციური ლექსი. რიტმის, რითმის, სიტყვის ავტორისეულ შეგრძნებაზე გაამახვილა ყურადღება. მოიწონა პოეტის ინტონაცია, ზომიერი შეშინაურება საკრალურ თემებთან. ამასთან დაკავშირებით, გაიხსენა დავით გურამიშვილი, რომელმაც საღვთისმეტყველო სტილი გაადემოკრატიულა, ყველასთვის გასაგები გახადა და ისე მიიტანა ხალხამდე.

კრებული მისთვის აღმოჩნდა გზა შინისაკენ. ეს არის რეფლექსია მგზავრისა, რომელიც დიდი ხნის უკან გამოსულა სახლიდან და ახლა მიჰყვება ბილიკს, რათა დაუბრუნდეს საკუთარ სახლს. ცდილობს, არ დაკარგოს გზა შინისაკენო. ლირიკული გმირი ამ გზაზე მეგზურ ექმნა საკუთარ თავს. ამ კრებულის ლირიკული გმირი ლაპარაკობს სასუფევლის

ენაზე და ამ ეგზისტენციური კრიზისის დროს, ავტორმა გადო ხიდი მიზეზთა მიზეზისკენ, თვითონაც გაიარა და მკითხველიც გაატარა ამ ხიდზე მშობლიურ წიაღში დასაბრუნებლად. ეს კი მხოლოდდამხოლოდ მაღალ პოეზიას ხელეწიფებაო.

სანამ ალექსანდრე კაკიაშვილი წარდგებოდა დარბაზის წინაშე, ბატონმა მურადმა ბრძანა, რომ მას ცხოვრებაში ბედმა გაუღიმა - ბევრი კარგი ახალგაზრდის მოძღვრობა ხვდა წილად. რამდენიმე ჩამოთვალა: სრულიად ახალგაზრდამ ოსიაურის სკოლაში რომ დავიწყე მუშაობა, იქ დამხვდა მეხუთეკლასელი გოგონა და ის გოგონა გახლავთ ცირა ბარბაქაძე, მერე იყო ეკა ბაქრაძე, მერე იყო გიორგი ლობჟანიძე, მერე - თათია მთვარელიძე, მერე - მაიკო წიქარიშვილი, მერე - იამზე შავიძე, ეკა ლაცაბიძე და აგერ, ალექსანდრე კაკიაშვილი, რომელიც იბეჭდება „ლიტერატურულ გაზეთში“, „ცისკარში“ და მალე წიგნიც გვექნებაო.

ალექსანდრე მსახიობიც გახლავთ. მან საყვარელი მასწავლებლის ერთი ლექსი წაგვიკითხა დიდი გზნებითა და ოსტატობით.

შეხვედრის განმავლობაში, რამდენიმე ნიმუში თვითონ ავტორმაც გაახმოვანა.

თამაზ ლაცაბიძემ ბრძანა, ისეთი სული ტრიალებს, ისეთი განწყობაა დარბაზში, ისეთი ამაღლებულია დღევანდელი შეხვედრა, რომ დასამატებელიც არაფერიაო. მეგობარს მიულოცა ახალი და გამორჩეული წიგნის შექმნა, მოგვილოცა ყველას. გაიხსენა, მურად მთვარელიძეს 70 წელი რომ შეუსრულდა, ერთი პატარა წერილი დავწერე და დავამთავრე მისივე სიტყვებით: „მიდი, გარეკე!“ და იხუმრა ბატონმა თამაზმა: ახალი სიმაღლეებისკენ სწრაფვა ვუსურვე, მაგრამ მთლად ასეთი პირდაპირი მნიშვნელობითაც არ მითქვამს, როგორც თვითონ გაუგიაო.

მამის, დედის სიყვარულის შესახებ დაწერილი მურადის ლექსი რომ წავიკითხე, ამან განმაცდევინა მშობელი ისე, როგორც უნდა განიცდიდეს ადამიანი საერთოდო, - იმდენად გულისამაჩუყებელი გამოდგა ამ ლექსზე საუბარი, რომ დარბაზში მსხდომთ ცრემლიც მოადგათ თვალზე.

ბოლოს ახალი წარმატებები უსურვა მეგობარს - ხაშურმა სხვა მადლი იცის, სხვა სითბო იცის და გაგეხარებინოს ხაშური, სადაც შენ უკვე შენი ძეგლი დადგიო.

ნათია ტატიაშვილი ბატონი მურადის ნასტუდენტარია. რუსთველოლოგიას ვუკითხავდიო, - გვითხრა ბატონმა მურადმა და ნათია გაგვაცნო, როგორც არაჩვეულებრივი ჭირისუფალი და მცოდნე „ვეფხისტყაოსნისა“. წელს, მას დაუსრულებია „ვეფხისტყაოსნის“ შესანიშნავი, ულამაზესი ხელნაწერი, რომლის პრეზენტაციაც, ალბათ, მალე გაიმართება.

ქალბატონი ნათიას აზრით, „შუაღამის მზის მოლოდინში“ მარტო ავტორის სინანული კი არ არის, მარტო მისი ათი მცნება კი არ არის, არამედ - ყოველი მკითხველის. აქ ჩანს ჩვენი არარაობა, საზოგადო ჭირი, რაც პოეტის თვალს არ დაემალა. დახატულია გზა ჯვარცმისა, გზა, რომელიც მიგვიყვანს უეჭველ აღდგომამდე.

და დაასკვნა, მურად მთვარელიძის დამსახურებაა, რომ დღეს ხაშური სუნთქავს. ჩემთვის ბატონი მურადი მთელი ქალაქიაო.

გავიგეთ, რომ შესანიშნავი კომპოზიტორი, ხაშურის ჰიმნის ავტორი და არაერთი ლამაზი სიმღერის დამწერი მშვენიერი ქალბატონი ბატონი მურადის ნათლია ყოფილა. მან სიხარული გამოხატა შეხვედრის გამო, მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას - ჩამოსულებსაც, ადგილობრივებსაც. გაითვალისწინა ბატონი როსტომის რჩევა-სურვილი ამ ლექსების ამღერებისა და თქვა, რომ საგალობლებისთვის მუსიკის მისადაგება ურთულესი საქმე იქნება, თუმცა ჩვენ მაინც გვეიმედება, რომ თვითონვე ცდის ორატორიის შექმნას და თუკი მოინდომებს, წინ რაღა დაუდგება?!

ბოლოს თვითონ პოეტს ვუსმენდით. მან, უპირველესად, მადლობა გადაუხადა როსტომ ჩხეიძეს, რომლის არაჩვეულებრივმა გამოხმაურებამ წააქეზა თურმე სამივე ციკლის ერთ წიგნად გამოსაცემად. ვერ გაუბედავს, რედაქტორობა ეთხოვა დიდი მწერლისთვის, დიდი კაცისთვის, დიდი მეცნიერისა და დიდი მამულიშვილისთვის, მხოლოდ ნებართვა ვთხოვე, მისი ის გამოხმაურება ჩემი წიგნისთვის დამერთოო. ბატონ როსტომს დაუფიქრებლად უპასუხნია, რომ წიგნის რედაქტორი თვითონ იქნებოდა და კიდეც სანიმუშოდ შეასრულა თავისი მოვალეობა.

მურად მთვარელიძემ სამომავლო გეგმაც გაგვანდო საიდუმლოდ - ჩაფიქრებული ჰქონია მეორე წიგნიც, რომელიც უკვე თითქმის მზად არის და ერქმევა „დიდი შუადღე“ და მოჰყვება მესამეც სათაურით „უჟამო ჟამი“. ამით შეიკვრება მთელი ციკლიო, - ბრძანა, როსტომ ჩხეიძემ კი მაშინვე შესთავაზა, გვიმსახურეთო.

როცა ავტორი, რედაქტორი, შემფასებლები ასე ბუნებრივად ერთსულოვანნი არიან, გვეიმედება, რომ უკვე გამოცემულსაც და მომავალში გამოსაცემ კრებულებსაც გულწრფელი მკითხველი არ მოაკლდება.

შეხვედრა ბატონმა როსტომმა, როგორც დაიწყო, კვლავ იმ პათოსით, აღმტაცი შეფასებით დაასრულა: დღეს მურად მთვარელიძის მრავალმხრივი მოღვაწეობის მხოლოდ ერთი ასპექტით შემოვიფარგლეთ. არაფერი გვითქვამს მასზე, როგორც მეცნიერზე, როგორც კრიტიკოსზე, როგორც პროზაიკოსზე, ბიოგრაფოსზე, ხაშურის წარმომჩენზე, ისტორიკოსზე, როგორც აღმზრდელზე, რომელმაც საუკეთესო მწერლები შემოიყვანა ლიტერატურაში...

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს პატარა წიგნი გვირგვინად ადგას მის შემოქმედებას და მის მოღვაწეობას.

და როგორ არ დავეთანხმოთ წიგნის რედაქტორსა და პირველ შემფასებელს და ჩვენც როგორ არ გავიმეოროთ, რომ იმდღევანდელი შეხვედრა მართლაც იყო ზეიმი და არა უბრალო საღამო!

ნინო ვახანია,

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

მიზანი მიღწეულია, მიზანი იგივეა...

„ივერია“ რეგიონლიგის ჩემპიონია

ჯერ კიდევ გაზაფხულზე ვწერდით, რომ 2024 წლის ჩემპიონატში, ხაშურის საფეხბურთო გუნდის მიზანი ერთერთი იყო - ჩემპიონობა და ყოველგვარი პლეიოფის გარეშე, უფრო მაღალ ლიგაში დაწინაურება. ეს იყო გუნდის ამოცანის მაქსიმუმიც და მინიმუმიც. გაზაფხულზე, პირველ ტურამდე, სკრუპულუზურად გაიწერა მთლიანი გეგმა, დაზუსტდა

ყველა დეტალი, ყველა წვრილმანი და გუნდი ამოცანის შესრულებას შეუდგა. პირველი მატჩიდანვე გამოჩნდა, რომ ეს გეგმა ჰაერიდან არ იყო მოტანილი. „ივერიას“, სურვილის გარდა, ამის სრული რესურსიც გააჩნდა. ამის დასტური იყო თუნდაც პირველი წრე, სადაც მხოლოდ ერთი ქულა დავკარგეთ. გუნდი თავის კლასით, მიზანმიმართულებით აშკარად წინ იყო მეტოქეებზე და ეს ანგარიშებშიც ისახებოდა. ასე მოვედით ჩემპიონატის ფინალამდე. მართალია ბოლო მატჩებში სანერვიულოც ბევრი გვქონდა გულშემატკივრებს, თუმცა, აქ კონკურენტებმაც „იყოჩაღეს“ და პირდაპირ ფინიშის ხაზთან, ოქროს ქულები დაკარგეს. „ივერიამ“ კი სწორედ ფინიშზე მოუმატა. ჯერ უშუალო კონკურენტთან -

ახალციხის „მესხეთთან“ გასვლაზე მოპოვებული ქულა, შემდეგ კი ორი დიდებული გამარჯვება და ერთი ტურით ადრე, ნანატრი ოცნების ასრულება - „ივერია“ რეგიონლიგის ჩემპიონია. აქ ოცნება ვახსენეთ. ეს, ისე „ზედაპირულად“ თორემ ოცნება გუნდსაც, მის ხელმძღვანელობასაც და გულშემატკივრებსაც უფრო დიდი გვაქვს - „ივერია“ იმ ოჯახს უნდა დაუბრუნდეს, რომელიც ამ 30 წლის წინ დავტოვეთ და რომელსაც უმაღლესი ლიგა ჰქვია. დიახ, ხაშურის ფეხბურთის ტრადიციები სწორედაც რომ იმსახურებს ამას. ტრადიცია კი, იცოცხლე, მართლაც დიდი აქვს ჩვენს გუნდს. ჯერ მხოლოდ ერთი ფაქტის გახსენება რად ღირს: სამოცდაათიან წლებში, ხაშურის სპორტის ისტორიის შესწავლა დავიწყე. მაშინ თვითმხილველების ნაამბობიდან გამომდინარე, საოცარი ისტორია გახდა ცნობილი. მე-20 საუკუნის დასაწყისში, დღევანდელი მე-6 საჯარო სკოლის ტერიტორიაზე, შოტლანდიური გარნიზონი მდგარა. ჩვენს მოქალაქეებს პირველად მაშინ უნახავთ ფეხბურთის თამაში. შემდეგ თვითონაც ჩაბმულან ამ „პერიპეტიებში“ და 1903 ან 1904 წელს, საქართველოს სინამდვილეში პირველი საერთაშორისო მატჩიც გამართულა - შოტლანდია - ხაშური. მართლაც საოცარი ისტორიაა. სამწუხაროდ, ვერც ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ვერც არქივებში ამის დოკუმენტურ დადასტურებას ვერ მივაკვლიე, თუმცა, ვიმეორებ, ამ ფაქტს შესახებ სულ მცირე, ხუთმა ადამიანმა მომითხრო. კარგით, ამას თავი დავანებოთ, იგივე საუკუნის ოციანი წლებიდან, ხაშურში, უკვე ოფიციალურად ფუნქციონირებს საფეხბურთო გუნდი და მატჩებსაც რეგულარულად მართავს. მოკლედ, საუკუნეზე ბევრად მეტი ხნის წინ იწყება ჩვენი, ხაშურის ფეხბურთის ისტორია და ასეთი ტრადიციების ქალაქს, სწორედაც რომ მეტი ეკუთვნის.

დავუბრუნდეთ „ივერიას“. მიუხედავად იმისა, რომ გუნდის ჩემპიონობა ერთი ტურით ადრე გახდა ცნობილი, ბოლო მატჩზე უამრავი გულშემატკივარი მოვიდა. საერთოდ, ჩვენი გულშემატკივარი ცალკე თემაა და გუნდის გაჩემპიონებაში უზარმაზარი წვლილიც აქვთ. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ დასწრების მხრივ ხაშურის სტადიონი მესამეა საქართველოში ბათუმისა და ქუთაისის შემდეგ. დიახ, უმაღლესი ლიგის გუნდებს ვუსწრებთ ამ მხრივ და თვით თბილისის „დინამოც“ კი უკან ჩამოვიტოვეთ. თუმცა, მხოლოდ გულშემატკივრის მონდომება და მხურვალე მხარდაჭერა, რა თქმა უნდა, არ იქნებოდა საკმარისი. უდიდესი წვლილი მუნიციპალიტეტის მერიას მიუძღვის. პირადად მერმა ბატონმა

თენგიზ ჩიტიაშვილმა, მისმა მოადგილეებმა ბატონებმა ზვიად ქურდაძემ და ზვიად გოგუაძემ, მერიის სპორტის სამსახურმა ყველაფერი გააკეთეს, რომ გუნდის ფინანსური მდგომარეობა მყარი ყოფილიყო. ამის გარეშე, ფეხბურთში ჩაუხედავმა დილეტანტმაც კი იცის, რომ ყოველგვარ წარმატებაზე ფიქრი, დღევანდელ სპორტში, უბრალოდ, აბსურდია. მადლობა მათ ამისათვის. მადლობა ასევე ადგილობრივ ბიზნესმენებს, რომელთა ძალისხმევა ყოველ ნაბიჯზე იგრძნობოდა და ამით ისინი არა მარტო გუნდის, არამედ

მთელი ქალაქის გვერდში იდგნენ. განსაკუთრებული მადლობა კი „ივერიის“ მთელ შემადგენლობას და გუნდის სტაფს, რომლებმაც თავდაუზოგავად იბრძოლეს, რომ მთელი ხაშური გაეხარებინათ. ცალკე გვინდა გამოვყოთ გუნდის მწვრთნელები - ზაურ ლომიძე და ზაზა ლაცაბიძე. როგორც მწვრთნელები, შეიძლება ითქვას, რომ ისინი ჩვენს თვალწინ გაიზარდნენ და დღეს უკვე პროფესიონალ დამრიგებლებად ჩამოყალიბდნენ. მხოლოდ ორი მატჩის გახსენებაც საკმარისია მათი მაღალი საფეხბურთო ინტელექტის დასტურად - „სპაერთან“ და „მესხეთთან“. ორივე გასვლით მატჩში ტაქტიკურად ისე დაჯაბნეს მეტოქეები, რომ კითხვის ნიშანიც არ დაუტოვეს მოწინააღმდეგეთა მწვრთნელებს.

... და 25 ნოემბერი. დღე - ზეიმისა, დღე - სიხარულისა. მერიამ, სპორტის სამსახურმა, სტადიონის დირექციამ მართლაც უდიდესი ძალისხმევა გაიღეს, რომ ეს დღე ულამაზეს დღესასწაულად ექციათ და გამოუვიდათ კიდეც. მშვენიერი კონცერტი, ფეხბურთელების დაჯილდოვება, თასის გადაცემა, შუშხუნები... ისე ლამაზად გაკეთდა ყველაფერი, ზეიმის შეგრძნება გაათმაგდა. ხაშურის ღამის ცაზე მანათობელი ფოიერვერკები კი იმის ნიშანი იყო, რომ „ივერიისთვის“ ახალი გზა იწყება. გზის დასაწყისშივე კი მიზანი იგივეა - გაისად, ამ დროს, მეოთხე ლიგის ჩემპიონობა უნდა ვიზეიმოთ. ასეთი ერთიანობით და საქმისადმი პროფესიონალური მიდგომით, ეს, სრულებითაც არ არის ფუჭი ოცნება.

გ. გოგოლაძე

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.